№ _____ _____ _____ 201

გრაფიკული მასალის

განმარტებითი ბარათი

მდინარე ვერეს ხეობაში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიური მოვლენის გამომწვევი მიზეზების ანალიზის საფუძველზე, უწყებათაშორისი კომისიის სხდომის ოქმის (9 ივლისი, 2015, თბილისი) შესაბამისად, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ მოამზადა მიმდებარე ტერიტორიის შემდგომი უსაფრთხო გამოყენების ტოპოგრაფიული გეგმა M- 1:1000, რომელზეც ლურჯი ფერის კონტურით/ფონით გამოყოფილია ის არეალი, რომელიც წარმოადგენს **„მდინარე ვერეს ხეობაში ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ ზონას“**.

რისკის შემცველი ზონის დადგენა ემყარება ჰიდროლოგიურ გაანგარიშებებს, სადაც გათვალისწინებულია დაკვირვებების რიგი გასული საუკუნის შუა წლებიდან 2015 წლის 13-14 ივნისამდე. ჰიდროლოგიურ გაანგარიშებებში გათვალისწინებულია, ასევე, 2015 წლის 13-14 ივნისის კატასტროფული ხარჯი, რომელიც ისტორიულ მაქსიმუმს წარმოადგენს.

გეგმაზე წითელი ფერის კონტურით/ფონით გამოყოფილია ის არეალიც, რომელიც 2015 წლის 13-14 ივნისის ღამით შეგუბებებისა და მდინარეში წყლის დონის მატების შედეგად დაიტბორა.